პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2025 წლის _____ ნოემბერი, ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 14 ნოემბრის N5/61001 წერილის საფუძველზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, 26 მაისის ქუჩა N13-ში პირველ სართულზე არსებული 256,0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ 05.22.17.006.01.02.501).

2. ეთხოვოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრაცია.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური
„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 14 ნოემბერს შემოსულია სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს N5/61001 წერილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სააგენტოში წარდგენილ კორესპონდენციასთან დაკავშირებით (#MIA 2 25 03768466, 13.11.2025წ.), რომელიც ეხება ქ. ბათუმში, 26 მაისის ქუჩა N13-ში პირველ სართულზე არსებული 256,0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (ს.კ. 05.22.17.006.01.02.501) სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის საკითხს. შემდგომში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,ქ. ბათუმში, 26 მაისის ქუჩა N13-ში პირველ სართულზე არსებული 256,0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (ს.კ. 05.22.17.006.01.02.501) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემა, მისი შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, 26 მაისის ქუჩა N13-ში პირველ სართულზე არსებული 256,0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (ს.კ. 05.22.17.006.01.02.501) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, მისი შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

14 / ნოემბერი / 2025 წ.

KA021756817723925

№ **5/61001**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 13.11.2025წ. NMIA 2 25 03768466 წერილი, რომელიც ეხება, ქალაქ ბათუმში, 26 მაისის ქუჩა, N13-ში მდებარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ N05.22.17.006.01.02.501) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხს, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

გიგზავნით ზემოაღნიშნულ კორესპონდენციას. გთხოვთ, განიხილოთ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში გადმოცემის საკითხი, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის შესაბამისად და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი: 1 (ერთი) ელ.დოკუმენტი.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი შენგელია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

13/11/2025

MIA 2 25 03768466

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი შენგელიას

ასლი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

ბატონო ირაკლი,

გთხოვთ, დასვათ საკითხი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე, მათ საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. №13 - ში, პირველ სართულზე არსებული 256 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (ს.კ. №05.22.17.006.01.02.501) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ, შემდგომში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის №791 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის უვადო სარგებლობის უფლებით გადმოსაცემად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე
მარიამ ტაბატაძე

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411068 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge